ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 23
(34300000)

ქ. თბილისი 23.02.2021წ.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ერთის მხრივ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის გიორგი გეჯაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსი“, მისი სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ჟორა რუხაძე (შემდგომში მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან სააგენტოს ბალანსზე რიცხული ა/მანქანისათვის - Mercedes Benz C, 5 ცალი საბურავის (20112391, Riken 195/65R15, 95V A11 Season XL) შეძენა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, საერთო ღირებულებით 875 (ინვოისი 2006059675 23.02.2021) ლარის ფარგლებში.

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

2.1 მომსახურება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნისამებრ 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

3.1 ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეტაპობრივად.
3.2 ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
3.3 უნაღდო ანგარიშსწორების დროს გადახდის თარიღად მიიჩნევა “გამყიდველის” საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღე.
3.4 ანაზღაურების ადგილია ქ. თბილისი.

3.5 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სააგენტოს მთავარი სპეციალისტი პაატა კიკვაძე.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა

4.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

5. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

5.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	შპს თეგეტა მოტორსი
მის: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას 8 ს\კ 202466991 სახელმწიფო ხაზინა	მის: ქ. თბილისი აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #5 ს\კ 202177205 ს.ს. „თიბისი ბანკი“ GE80TB0600000024467853
სააგენტოს უფროსი გიორგი გაგუაძე	სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ჟორა რუხაძე

LEPL TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY

Digitally signed by LEPL TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY
DN: cn=LEPL TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY, 2.5.4.97=NTRGE-202466991, o=[illegible], c=GE
Date: 2021.02.23 13:44:17 +04'00'

Tegeta Motors LLC

Digitally signed by Tegeta Motors LLC
Date: 2021.02.23 14:15:29 +04'00'